OPPORTUNITIES FOR THE DEVELOPMENT OF AGRO-FOOD PRODUCTION IN POST-PANDEMIC CONDITIONS

აგროსასურსათო წარმოების განვითარების შესაძლებლობები პოსტპანდემიურ პირობებში

Tamar Lazariashvili
Assistant Professor of Ivane
Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Moscow Ave, 037
+995 577213095, tamar.lazariashvili@tsu .ge
orcid:0000-0001-7500-7969

Abstract. Effective use of potential opportunities for growth of agro-food production in the conditions of globalization is an essential solution for food security. The article analyzes the trends in the production of Georgian agro-food products under the conditions of the pandemic, identifies the factors hindering the development of the agricultural sector, studies the export potential of Georgian agro-food products and shows the perspectives of its diversification. The paper evaluates the role of the state in the growth of the production of Georgian agro-food products, using the appropriate methods, the levers for stimulating the growth of the production of agricultural products are identified.

The article uses general and specific methods of research, namely, analysis, synthesis, induction, deduction, comparison, statistical (selection, grouping, observation, trend) and other methods.

In recent years, Georgia has made some progress in finding and diversifying new export markets, but there is still a need for a sharp expansion of the export portfolio in order to enhance an economic growth and the positive trade balance. To achieve these goals it is necessary to study the problems which prevents the growth of the country's exports. A serious challenge is the small scale of production, which significantly reduces the competitive advantage. The government should develop economic, legal and organizational mechanisms to stimulate the production of Georgian agro-food products. The state should constantly take care of using the fastest and most effective methods of local production.

Based on the analysis, conclusions are made about the trends and development of agro-food production, recommendations are offered on ways to effectively use the potential opportunities of agricultural production in the post-pandemic period.

Key words: agro-food production, production potential, agriculture, export potential, post-pandemic development.

თამარ ლაზარიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ პროფესორი
ქ.თბილისი, მოსკოვის გამზირი, 037
+995 577213095, tamar.lazariashvili@tsu .ge
orcid:0000-0001-7500-7969

აბსტრაქტი. გლობალიზაციის პირობებში აგროსასურსათო წარმოების ზრდის პოტენციური შესაძლებლობების ეფექტიანად გამოყენება სასურსათო უსაფრთხოების გადაჭრის აუცილებელი გზაა. სტატიაში გაანალიზებულია ქართული აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების ტენდენციები პანდემიის პირობებში, გამოვლენილია სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორები, შესწავლილია ქართული აგროსასურსათო პროდუქტების საექსპორტო პოტენციალი, ნაჩვენებია მისი დივერსიფიკაციის შესაძლებლობები. ნაშრომში შეფასებულია სახელმწიფოს როლი ქართული აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების ზრდაში, შესაბამისი მეთოდების გამოყენებით გამოვლენილია აგრარული პროდუქტების წარმოების ზრდის სტილუმირების ბერკეტები.

ბოლო წლებში საქართველომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიებასა და დივერსიფიკაციაში, მაგრამ ჯერ კიდევ საჭიროა საექსპორტო პორტფელის მკვეთრი გაფართოება, რათა გაგრძელდეს ეკონომიკური ზრდა და შემცირდეს სასურსათო პროდუქტების უარყოფითი სავაჭრო სალდო. ამისათვის კი აუცილებელია იმ პრობლემების შესწავლა, რაც ქვეყნის ექსპორტის ზრდას შეუწყობს ხელს. ამ მხრივ აღსანიშნავია აგროსასურსათო წარმოების შესაძლებლობების გამოვლენა. ამ სფეროში პრობლემად მიიჩნევა წარმოების მცირე მასშტაბები, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს კონკურენტულ უპირატესობას. ასევე შესამუშავებელია ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმები ქართული აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების სტიმულირების მიზნით. აუცილებელია ადგილობრივი წარმოების ყველაზე სწრაფმოქმედი და ეფექტიანი მეთოდების გამოყენების გზების ძიება.

ნაშრომში გაკეთებულია დასკვნები აგროსასურსათო წარმოების ტენდენციებისა და განვითარების შესახებ, შემოთავაზებულია რეკომენდაციები პოსტპანდემიურ პერიოდში აგრარული წარმოების პოტენციური შესაძლებლობების ეფექტიანი გამოყენების გზებზე.

საძიებო სიტყვები: აგროსასურსათო წარმოება, წარმოების პოტენციალი, სოფლის მეურნეობა, საექსპორტო პოტენციალი, პოსტპანდემიური განვითარება.

შესავალი. საქართველოს სოფლის მეურნეობის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და მიზნობრივი გამოყენება ქვეყნის ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და ინკლუზიური

ეკონომიკური ზრდისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის განვითარებას. აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების განვითარება კი მნიშვნელოვანია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის, სოფელსა და ქალაქს შორის ეკონომიკური უთანაბრობის შესამცირებლად.

მრავალფეროვანი კლიმატური პირობები და ჯანსაღი ბიზნეს გარემო ხელშემწყობ პირობებს ქმნის ხილის, ბოსტნეულის, თხილის და სხვა კუტურების წარმოებისათვის. ევროპასთან სიახლოვე და განვითარებული სატრანსპორტო კავშირები სხვა რეგიონებთან, ასევე, ახალ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ადგილობრივი და რეგიონული მოთხოვნის ზრდა, საქართველოს მიმზიდველს ხდის როგორც აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების, ასევე, ექსპორტის თვალსაზრისით.

საქართველოს გააჩნია შესაბამისი რესურსული პოტენციალი, მზარდი ეკონომიკა, ლიბერალური შრომის ბაზარი და დაბალი შრომის დანახარჯები. ფიქსირებული გადასახადები და გამარტივებული საგადასახადო ადმინისტრირება უპირატესად ხელსაყრელია ექსპორტიორებისათვის.

აქტუალობა. აგროსასურსათო პროდუქტების წარმოება საქართველოში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. მსოფლიოში მიმდინარე ეკოლოგიური პროცესებიდან გამომდინარე, სულ უფრო დიდი როლი ენიჭება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარებას. გასული წლების მანძილზე საქართველომ ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიებასა და დივერსიფიკაციაში გარკვეულ პროგრესს მიაღწია, მაგრამ კვლავ საჭიროა საექსპორტო პორტფელის სამომავლო ზრდა, რათა შემცირდეს ქვეყნის უარყოფითი სავაჭრო სალდო. აღნიშნული მიზნის მისაღწევად აუცილებელია პრობლემების იდენტიფიცირება, რომელიც აფერხებს ადგილობრივ წარმოებას. ქართული აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების ზრდის ხელშეწყობისათვის საჭიროა შემუშავდეს ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმები. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ შეიმუშაოს აგროსასურსათო სექტორის მხარდამჭერი ღონისძიებები.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია პოსტპანდემიურ პირობებში, აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების შესაძლებლობების გაზრდის დასაბუთება, დარგში არსებული ხელშემშლელი ფაქტორების გამოვლენა და სახელმწიფოს როლის შეფასება აგროსასურსათო პროდუქტების ზრდაში.

კვლევის მეთოდოლოგია. სტატიაში გამოყენებულია კვლევის ზოგადი და კონკრეტული მეთოდების, კერძოდ, ანალიზის, სინთეზის, ინდუქციის, დედუქციის, შედარების, სტატისტიკური (შერჩევა, დაჯგუფება, დაკვირვება, ტენდენცია და სხვა) მეთოდების გამოყენებით შემუშავებული იქნა გარკვეული დასკვნები და რეკომენდაციები აგროსასურსათო წარმოების განვითარების თვალსაზრისით პოსტპანდემიურ პირობებში.

ლიტერატურის მიმოხილვა. ეკონომიკურ პრობლემებს შორის განსაკუთრებით მძიმე სოციალურ ფონს ქმნის სასურსათო უსაფრთხოების დაბალი მაჩვენებელი, სურსათზე ფასების ზრდა, ინფლაცია, აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტ-

იმპორტის უარყოფითი სავაჭრო ბალანსი და სხვ. (Kharaishvili E., 2017). ასევე, აგროსასურსათო წარმოების ტრანსფორმაცია გლობალურ გამოწვევებს შორის ერთ-ერთ მთავარ საკითხად განიხილება (Kharaishvili E., 2017). ასევე, აქტუალურობას არ კარგავს სასურსათო ბაზრების დივერსიფიკაციისა და სურსათის უსაფრთხოებისც (Kharaishvili E., 2015). აღნიშნულ პროცესებზე ერთ-ერთ მთავარ გავლენას ახდენს ურბანიზაცია. ექსპერტების შეფასებით 2050 წლისთვის მოსახლეობის 65%-ზე მეტი ურბანული მაცხოვრებელი იქნება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ სასურსათო უზრუნველყოფასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს. საქართველოს აგრარულ სექტორს, სახელმწიფოს სწორი პოლიტიკითა და ხელშეწყობით, შეუძლია წარმატებებს მიაღწიოს და გავიდეს მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის პროდუქციით. (Erkomaishvili G., Kobalava M; Lazariashvili T; Saghareishvili M., 2017). აგროსასურსათო პროდუქციის წარმოების მხრივ, უნდა მოხდეს იმპორტის ჩანაცვლება ადგილობრივი პროდუქტებით და აგრობიზნესის განვითარება ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი კომპონენტი გახდეს. (Lazariashvili T. 2021).

შედეგები. საქართველოში აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების ტენდენციების შესწავლამ გვიჩვენა, რომ 2020 წელს წინა წლებთან შედარებით ეს მაჩვენებლები ზრდადია. (იხ. დიაგრამა 1). უმნიშვნელოდ არის შემცირებული მხოლოდ ზოგიერთი სურსათის წარმოება.



დიაგრამა 1. მარცვეულის წარმოება 2016-2020 წლებში (ათასი ტონა)

მრავალწლიანი კულტურებიდან 2016-2020 წლებში ზრდის ტენდენცია აღინიშნება ყურძნისა და ხილის წარმოებაში, ხოლო შემცირებულია ციტრუსის წარმოება. (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2. მრავალწლოვანი კულტურების წარმოება 2016-2020 წლებში. (ათასი ტონა)

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მიერ ბოლო წლებში განხორციელდა სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდამჭერი არაერთი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის და აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების წახალისებას. მაგალითად, საქართველოში თხილი ერთ - ერთი ფართოდ დანერგილი და გავრცელებული კულტურაა, რომლის ექსპორტიც წარმატებით ხორციელდება, თუმცა, თხილისგან განსხვავებით, რომელიც საქართველოს ერთ-ერთი მთავარი საექსპორტო პროდუქტია, ქვეყანაში კაკლის დეფიციტია. საქართველოში წელიწადში, დაახლოებით, 700-900 ათასი დოლარის კაკლის იმპორტი ხორციელდება. ამავე დროს, 1 ჰა-ზე საშუალო მოგება კაკლის ახალი ჯიშის, ჩანდლერის გაშენების შემთხვევაში - 7 ათასი ლარია.[1] კოვიდ-პანდემიამ შეცვალა მთლიანი მსოფლიო წესრიგი და ფაქტობრივად ცხოვრების ყველა სფერო ახალი, რთული გამოწვევების წინაშე დააყენა. სწორედ ამიტომ, აგრარულ სექტორს ყველაზე მოკლე დროში მოუწია ახალ რეალობასთან ადაპტაცია და ყველა არსებული რისკის მიუხედავად ეკონომიკური საქმიანობის გაგრძელება. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველომ განსაკუთრებით მძიმედ გადაიტანა ეკონომიკური აქტივობის შენელების ეფექტები, რადგან ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა პანდემიამდეც საკმაოდ არამდგრადი იყო. აგრარულ სექტორზე პანდემიის გავლენის შესაფასებლად გამოვიყენეთ საქართველოს ფერმერთა ასოციაციის მიერ 2020 წელს ჩატარებული კვლევა, რომლის ფარგლებშიც გამოიკითხა ქვეყნის ყველა რეგიონიდან აგროსფეროში დასაქმებულ ადამიანთა გარკვეული რაოდენობა და მიღებული მონაცემების საფუძველზე გაკეთდა დასკვნები. (იხ. დიაგრამა 3).

[1] http://eugeorgia.info/ka/article/600/-saqartveloshi-800-atasi-dolaris-kakali-importze-shemodis---ra-perspeqtivebi-aqvs-quotchendlerisquot-jishis-bagebis-gashenebas/



,,ა“ ,,ბ“

დიაგრამა 3. ფერმერთა წვდომა საწარმოო რესურსებზე

კრიზისულმა პერიოდმა, ნათლად დაგვანახა ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისთვის ადგილობრივი წარმოების საჭიროება. ამის გამო, საჭიროა აქცენტის გაკეთება იმ დარგების განვითრებაზე, რომლებსაც აქვთ პოტენციალი ჩაანაცვლოს იმპორტირებული პროდუქცია.

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის მიერ ფერმერთა გამოკითხვის შედეგად, დადგენილია, რომ კოვიდ პანდემიამ 2019-2020 წლებში მათ საქმიანობაზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა. (საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, 2020). გაეროს ეკონომიკური კომისიის 2020 წლის ანგარიშშიც დასტურდება, რომ საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეების დაახლოებით 45% შემთხვევაში შემოსავლები საგრძნობლად შემცირდა 2019-2020 წლებში (Kharaishvili, E., Lobzhanidze N. 2022).

სასურსათო პროდუქტებით ვაჭრობა ხელს უწყობს ქვეყნებს შორის ეკონომიკური კულტურული, პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას (Kharaishvili E., Gechbaia B., Zviadadze E., Mushkudiani Z., Tsilosani A. 2021). სურსათით ვაჭრობა გარკვეული გამოწვევების წინაშე აყენებს განვითარებად ქვეყნებს, თუმცა, იძლევა გარკვეულ შესაძლებლობებსაც საერთშორისო ბაზრებზე შესასვლელად (Kharaishvili E., Natsvlishvili I., Lazariashvili T. 2020). კვლევებით მნიშვნელოვან პრობლემად გამოვლენილია რესურსებზე შეზღუდული წვდომა, განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩევა ფინანსურ რესურსებზე შესაბამისად, ხელმისაწვდომობა. საჭიროა წარმოებისათვის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმების შემუშავება სუბსიდირების, გარანტირებული ფასებისა და სტიმულირების პროგრამების გამოყენებით.

შეზღუდვების მოხსნასთან ერთად ლოგისტიკური პრობლემები ნელ-ნელა მოგვარდა და როგორც პროდუქციის, ასევე, მუშახელის მოძრაობა ჩვეულ რეჟიმს დაუბრუნდა, თუმცა გამოწვევად კვლავ რჩება შემცირებული სარეალიზაციო ბაზარი.

ბოლო დროს განვითრებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვნად გაზარდა ქვეყნის საექსპორტო პოტენციალი და აუცილებელია ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯების გადადგმა, რათა ქართული პროდუქცია მოხვდეს საერთაშორისო ბაზარზე და შეძლოს კონკურენტულ გარემოში თავის დამკვიდრება. სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებით შესაძლებელი იქნება: სასურსათო ბაზრების დივერსიფიკაცია; წვრილმასშტაბური ფერმერული მეურნეობების გამსხვილება; ქართული ტრადიციების აღდგენა და პოპულარიზაცია; მოთხოვნის გაზრდა ქართული სამზარეულოსა და აგროსასურსათო ბრენდულ პროდუქტებზე; მიგრაციული პროცესების შეჩერება; ახალი უნარების შეძენა და სხვა. ქართულმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციამ პოპულარობა, რაოდენობრივად და ხარისხობრივად, ჯერ ადგილობრივ ბაზარზე, მერე კი, უცხოეთში უნდა მოიპოვოს (G.Erkomaishvili, M. Kobalava T. Lazariashvili, M. Saghareishvili).

დასკვნები და წინადადებები. ამრიგად, აგროსასურსათო წარმოების განვითარების შესაძლებლობების შესწავლისა და ანალიზის პროცესში გამოიკვეთა, რომ საქართველოს აგროსასურსათო წარმოების განვითარების პროცესში დადებითი შედეგების მიღწევის უპირველესი გარანტია იქნება მკაფიოდ განსაზღვრული, კონკურენტუნარიანი წარმოებისკენ მიმართული აგრარული პოლიტიკის შემუშავება და ეკონომიკის ამ სექტორში ფინანსური რესურსების მოზიდვის ხელშეწყობა.
მთავარი როლი უნდა შეასრულოს მიზნობრივმა და საჭიროებებს მორგებულმა რეფორმებმა და სამთავრობო პროგრამებმა. აგროსასურსათო წარმოების მაღალ დონეზე განვითარება სპეციალიზებულ ცოდნას მოითხოვს, ამიტომ მიზანშეწონილია შეიქმნას პერსპექტიული გარემო ახალგაზრდებისთვის, რათა მიიღონ შესაბამისი განათლება, ჩაერთონ სხვადასხვა პროექტებში ან დაარსონ საკუთარი მცირე ბიზნესი ამ დარგში. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესის თავისუფლებას, დაეხმაროს მცირე მეწარმეებსა და საოჯახო მეურნეობებს მათი წარმოების გაფართოებაში.

აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია: სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავება; სახელმწიფოს ხელშეწყობა ფერმერების მხარდაჭერის კუთხით. ასევე, მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ჩართულობის უზრუნველყოფა, უცხოური ინვესტიციებისა და ინვესტორთა გამოცდილების გამოყენება ტრადიციული დარგების (როგორიცაა მაგ: მევენახეობა, მეციტრუსეობა, მეფრინველეობა, მებოსტნეობა, აგროტურიზმი და ა.შ.) განვითარებისათვის, თანამედროვე ინოვაციების დანერგვა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

საქართველოს სოფლის მეურნეობა (2020). სტატისტიკური პუბლიკაცია - სოფლის მეურნეობა 2020 (წინასწარი მემცენარეობის შესახებ). ხელმისაწვდომია ბმულზე: http://eugeorgia.info/ka/article/600/-saqartveloshi-800-atasi-dolaris-kakali-importze-shemodis---ra-perspeqtivebi-aqvs-quotchendlerisquot-jishis-bagebis-gashenebas/;

Erkomaishvili G., Kobalava M., Lazariashvili T., Saghareishvili M. (2017), *Consumer Market of Agricultural Products andAgricultural Policy in Georgia*, International Journal of Economics and Management Engineering. Vol:11, No:10, 2017. Barcelona, Spain, 2017, Waset.org 19th Interntional Conference on Economics, Business and Marketing Management. Barcelona, Spain, October, pp. 30-31;

Kharaishvili E., (2017). *Challenges for sustainable food security in Georgia*, XV EAAE Congress in Parma: Towards Sustainable Agri-Food Systems: Balancing between Markets and Society, Parma, Italy, 29 August – 1 September. Retrieved from- https://www.researchgate.net/publication/319979747_Challenges_for_sustainable_food_security_in_Georgia;

Kharaishvili E., Gechbaia B., Zviadadze E., Mushkudiani Z., Tsilosani A. (2021). *"Trade and Economic Relations Between Georgia and the Czech Republic: Challenges in Export and Import of Agri-Food Products".* E3S Web Conf. Volume 280, 2021 Second International Conference on Sustainable Futures: Environmental, Technological, Social and Economic Matters;

Kharaishvili, E., Lobzhanidze N. (2022). *Preliminary Impacts of the Covid-19 Pandemic on Agri-Food Trade: Challenges and Development Scenarios (Case of Georgia).* Globalization and Business. 13, pp 41-50. Retrieved from - https://doi.org/10.35945/gb.2022.13.006

Kharaishvili E., Natsvlishvili I., Lazariashvili T. (2020). *Bio-products market in Georgia: current challenges and development perspectives*, International Journal of Markets and Business Systems, Volume 4, Issue 1;

Kharaishvili E., (2015). *Farm Diversification and the Corresponding Policy for its Implementation in Georgia*, World Academy of Science, Engineering and Technology;

Lazariashvili T., *DIRECTIONS FOR DEVELOPING THE PRODUCTION OF LOCAL AGRO-FOOD PRODUCTS IN GEORGIA*. International Scientific and Practical Internet Conference, ORGANIZATION'S STRATEGY VS REALITIES OF THE VUCA-WORLD ", KYIV, SHEI KNEU named after V. Hetman.